



საიას თბილისის ოფისის იურიდიული დახმარების ცენტრში თანაშემწეთა/სტაჟიორთა კონკურსის მონაწილეთა წერიტი გამოცდის განრიგი

საიას იურიდიული დახმარების ცენტრში თანაშემწეთა/სტაჟიორთა შესარჩევად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატთა დიდი რაოდენობის გათვალისწინებით, კონკურსის პირველი ეტაპი - წერიტი გამოცდა (კაზუსების ამოხსნა) ჩატარდება რამდენიმე ნაკადად. გთხოვთ, თანდართულ დოკუმენტში იხილოთ შესაბამისი გადანაწილებები.

წერიტი გამოცდისას (კაზუსების ამოხსნა) თან იქონიეთ სამოქალაქო კოდექსი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი. იმ კანდიდატებმა, რომელთაც ინტერესის სფეროდ მითითებული აქვთ სისხლის სამართალი, თან იქონიეთ სისხლის სამართლის კოდექსი და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.

წერიტი გამოცდის (კაზუსების ამოხსნა) შეფასების კრიტერიუმები იხილეთ მიმაგრებულ

ფაილში.

წერიტი გამოცდის (კაზუსების ამოხსნა) შეფასების კრიტერიუმები

სისხლის სამართლის მიმართულება

სისხლის სამართლის მიმართულებით კონკურსანტს ამოსახსნელად გადაეცემა ერთი კაზუსი, რომელიც შედგენილია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსითა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ საკითხებზე. კაზუსი შეიცავს 4 კითხვას (2 კითხვას სისხლის სამართლის კოდექსიდან, 2 კითხვას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიდან). თითოეულ საკითხი ფასდება მაქსიმუმ 2 ქულით, წერიტი გამოცდის მაქსიმალური შეფასებაა 8 ქულა. წერის ხანგრძლივობა შეადგენს 90 წუთს.

შეფასების კრიტერიუმებია:

1. 2.0 ქულა - პასუხი სრულია, საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული, ტერმინოლოგია დაცულია, კონკურსანტი ზედმიწევნით კარგად ფლობს საკითხს, შეცდომები არ არის, კაზუსი უნაკლოდ არის ამოხსნილი, მსჯელობა მაღალ დონეზეა;
2. 1.0 ქულა _ პასუხი სწორია, თუმცა შეკვეცილი, არსებითად შეცდომა არ არის. მსჯელობა კარგია
3. 0.5 ქულა _ პასუხი არასრულია, მსჯელობა ფრაგმენტულია;
4. 0 _ პასუხი არსებითად მცდარია, ან საერთოდ არ არის მოცემული.

სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართლის მიმართულება

სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით კონკურსანტს ამოსახსნელად გადაეცემა ორი ვაზუსი. ერთი მათგანი მოიცავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსითა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ საკითხებს, ხოლო მეორე ვაზუსში - საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ საკითხებს. თითოეული ვაზუსი შეიცავს 4 კითხვას (2 - 2 კითხვა სამოქალაქო და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსებიდან, 2-2 კითხვა სამოქალაქო საპროცესო და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსებიდან). თითოეული საკითხი ფასდება მაქსიმუმ 2 ქულით, თითოეული ვაზუსის ამოხსნის მაქსიმალური შეფასებაა 8 ქულა, წერთი გამოცდის მაქსიმალური შეფასებაა 16 ქულა. წერის ხანგრძლივობა შეადგენს 3 (სამ) საათს.

შეფასების კრიტერიუმებია:

1. 2.0 ქულა _ პასუხი სრულია, საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული, ტერმინოლოგია დაცულია, კონკურსანტი ზედმიწევნით კარგად ფლობს საკითხს, შეცდომები არ არის, ვაზუსი უნაკლოდ არის ამოხსნილი, მსჯელობა მაღალ დონეზეა;
2. 1.0 ქულა _ პასუხი სწორია, თუმცა შეკვეცილი, არსებითად შეცდომა არ არის. მსჯელობა კარგია;
3. 0.5 ქულა _ პასუხი არასრულია, მსჯელობა ფრაგმენტულია;
4. 0 პასუხი არსებითად მცდარია ან საერთოდ არ არის მოცემული;